არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა საუკეთესო ინტერესების უპირატესობის დაცვით

რობიზონ ხურცილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მარიამ სანებლიძე
სამართლის მაგისტრი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მოიცავს არასრულწლოვანთა წარმომადგენლობის საკითხის მიმოხილვას მათი საუკეთესო ინტერესების დაცვისა და პრიორიტეტულობის გათვალიწინებით.

ბავშვები შეადგენენ საზოგადოების დაუცველ სეგმენტს, რომელთა კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართლებრივი სისტემის მხარდაჭერაზე. არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სამართლიანი საზოგადოების მნიშვნელოვანი ასპექტია. არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა მოიცავს სიტუაციების ფართო სპექტრს, დაწყებული სამართლებრივი პროცედურებიდან, დამთავრებული საგანმანათლებლო არჩევანით, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობით. თითოეულ საკითხში, ადვოკატები და წარმომადგენლები ასრულებენ გადამწყვეტ როლს ბავშვის მოსმენისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

სტატიაში განხილულ იქნება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტის მინიჭების უმთავრესი პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციებში, ეროვნულ კანონებსა და ეთიკურ გაიდლაინებში. არასრულწლოვანთა წარმომადგენლებმა უნდა გაიარონ რთული ეთიკური და სამართლებრივი ლანდშაფტები, რათა ბავშვის კეთილდღეობა უზრუნველყონ. საუკეთესო ინტერესების ტესტი ემსახურება გადაწყვეტილების მიღების ფუნდამენტურ ჩარჩოს, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესში შესწავლილ უნდა იქნას მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც მოიცავს ბავშვის უსაფრთხოებას, ფიზიკურ და ემოციურ ჯანმრთელობას, საგანმანათლებლო საჭიროებებს, სტაბილურობას და, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა პრეფერენციებს.

კვლევა ხაზს უსვამს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებს შორის ინტერდისციპლინური თანამშრომლობის მნიშვნელობას, რათა მიღებულ იქნას ჰოლისტიკური და ბავშვზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. სტატია ითვალისწინებს, ევროპული მიდგომების გაზიარებასა და გაანალიზებას, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის მიზნით. კერძოდ, არასრულწლოვნის შეუზღუდავ წვდომას იურიდიულ დახარებასა და კონსულტირებაზე, წარმომაგენლობის უფლების მოპოვებას და ა.შ.

საკვანძო სიტყვა: ბავშვის საუკეთესო ინტერესი

REPRESENTATION OF MINORS WITH PRIORITY OF BEST INTERESTS

Robizon Khurtsilava
Doctor of Law, Associate Professor
Mariam Saneblidze
Master of Laws, PhD student

ABSTRACT

This article includes an overview of the issue of representation of minors, taking into account the protection and priority of their best interests.

Children constitute a vulnerable segment of society whose well-being is significantly dependent on the support of the legal system. Ensuring the protection of minors' rights is an important aspect of a just society. Juvenile representation covers a wide range of situations, from legal proceedings to educational choices and access to health and social services. In each case, advocates and representatives play a critical role in ensuring that the child is heard and their rights are protected.

The article will discuss the main principle of prioritizing the best interests of minors, which is provided for in international conventions, national laws and ethical guidelines. Juvenile guardians must navigate complex ethical and legal landscapes to ensure the welfare of the child. The best interests test serves as a fundamental framework for decision-making, and a number of factors must be considered in determining the best interests of a minor, including the child's safety, physical and emotional health, educational needs, stability, and, where appropriate, the child's preferences.

The study highlights the importance of interdisciplinary collaboration between professionals from different fields in order to make holistic and child-centered decisions. The article envisages sharing and analyzing European approaches in order to improve national legislation. In particular, the minor's unlimited access to legal advice and counseling, obtaining the right to representation, etc.

1. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის სტანდარტი

საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც ერთიანი სტანდარტის სახით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დააკმაყოფილებს არასრულწლოვანის სრულყოფილად დაცვის მიზანს. იმისათვის, რომ შემუშავდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შეფასების ერთიანი კონცეფცია, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საიდან იღებს სათავეს აღნიშნული და რა მიზანს ემსახურებოდა თუ ემსახურება ის.

„ბავშვის საუკეთესო ინტერესის" კონცეფცია წარმოიშვა დასავლური სამყაროს ბავშვების აღქმის ევოლუციის შედეგად. მე-18 საუკუნის შემდგომ საზოგადოება თანდათანობით დაინტერესდა ბავშვების მომავლით, რის შედეგადაც ინდუსტრიულ ქვეყნებში გაჩნდა დამცავი კანონები და სამეცნიერო ვალდებულებები.[1] 1902 წელს ჰააგის კონვენცია წინა პლანზე დააყენა „ბავშვის საუკეთესო ინტერესი".[2] 1924 წელს ჟენევის დეკლარაციამ ხაზი გაუსვა ბავშვების დაცვის საჭიროებას.[3] 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციის თანახმად, ბავშვები აღიარებულნი არიან, როგორც უფლებების მქონენი, „საუკეთესო ინტერესის" ცნება არის მოხსენიებული აღნიშნულ დეკლარაციაშიც.[4] თავდაპირველად, საუკეთესო ინტერესების სტანდარტი განისაზღვრებოდა ბავშვების ფიზიკური დაცვისა და მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მიზნებით, კონცეფციის გამოყენება კიდევ უფრო გაფართოვდა 1989 წელს ბავშვის უფლებათა კონვენციის შექმნისას.[5] მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია არ იძლევა „საუკეთესო ინტერესის" ზუსტ განმარტებას, ის ხაზს უსვამს ბავშვის დაცვის იდეას. კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც აღნიშნავს „ბავშვის საუკეთესო ინტერესს", როგორც ერთ-ერთს ოთხი იმპერატიული პრინციპიდან, კონვენციის უფლებების გამოყენებისას.[6] ბავშვის საუკეთესო ინტერესების ფარგლებში მოქმედება გულისხმობს ბავშვის ზოგადი კეთილდღეობისათვის სარგებლის მოტანის მიზნით გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონვენცია აყალიბებს ე.წ „კეთილდღეობის შემოწმების სიას", რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის დასადგენად, თუ რას გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. აღნიშნული სია შემდეგნაირია: 1. ბავშვის სურვილები და გრძნობები (მისი ასაკისა და გაგების გათვალისწინებით); 2. ფიზიკური, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები; 3. არსებულ რეალობაში რაიმე ცვლილების სავარაუდო გავლენა; 4. ასაკი, სქესი, წარმომავლობა და ნებისმიერი მახასიათებელი, რომელსაც სასამართლო მიიჩნევს რელევანტურად; 5.ნებისმიერი ზიანი, რომელიც ბავშვმა განიცადა ან ემუქრება; 6. რამდენად შეუძლია მის თითოეულ მშობელს და წარმომადგენელს, დააკმაყოფილოს მისი საჭიროებები; 7. უფლებამოსილების სპექტრი, რომელიც ხელმისაწვდომია სასამართლოსთვის ამ კანონის შესაბამისად განსახილველ სამართალწარმოებაში.[7] მარტივად, რომ ვთქვათ, ბავშვის საუკეთესო ინტერესები ბავშვთა კეთილდღეობას გულისხმობს, რომლის საფუძველი ბავშვის საჭროებების, სურვილების, აზრების, სავარაუდო გავლენისა და სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას გულისხმობს. თუმცა არის კი აღნიშნული ჩამონათვალი საკმარისი, იმისათვის, რომ დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესს?

გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია აღიარებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპს ბავშვებთან დაკავშირებული ყველა ასპექტში. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ბავშვებთან დაკავშირებული ყველა ქმედება, იქნება ეს განხორციელებული სოციალური დაცვის საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების ან საკანონმდებლო ორგანოების მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი." მხარეები, რომლებიც იზიარებენ და რატიფიცირებას ახორციელებენ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციას მიზნად ისახავენ, ბავშვთა კეთილდღეობის ხელშემწყობი გადაწვეტილებები მიიღონ, რომელიც საფუძველი იქნება ბავ-

1 Chatenoud M., The Child's Best Interest: Article 3 of the Convention on the Rights of the Child, 2022. ხელმისაწვდომია აქ: https://www.humanium.org/en/the-childs-best-interest/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

2 Hague convention 1902. ხელმისაწვდომია აქ: https://www.hcch.net/en/instruments/conventions (უკანასკნელად გადამოწმდა:06.10.2023).

3 Geneva Declaration of the Rights of the Child, 1924. ხელმისაწვდომია აქ: https://www.humanium.org/en/geneva-declaration/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

4 UN DECLARATION ON THE RIGHTS OF THE CHILD (1959). ხელმისაწვდომია აქ: https://archive.crin.org/en/library/legal-database/un-declaration-rights-child-1959.html (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

5 Krutzinna J., Who is "The Child"? Best Interests and Individuality of Children in Discretionary Decision-Making, The International Journal of Children's Rights, 2022. ხელმისაწვდომია აქ: https://brill.com/view/journals/chil/30/1/article-p120_7.xml?language=en (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

6 Convention on the Rights of the Child, 1989. ხელმისაწვდომია აქ: https://www.coe.int/en/web/compass/convention-on-the-rights-of-the-child (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

7 Freeman C., What Is The 'Best Interests Of A Child' Principle?, 2022.ხელმისაწვდომია აქ: https://www.fjsolicitors.co.uk/best-interest-of-the-child/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

შვი გაიზარდოს უსაფრთხო, სტაბილურ და მზრუნველ გარემოში. გარდა კონვენციისა, საინტერესოა კიდევ სად და რა ფორმით გვხვდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის სტანდარტი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბავშვზე ძალადობის პრევენციისა და მკურნალობის აქტი (CAPTA),[8] ადგენს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა ჩართონ ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის ნორმატიულ განმარტებებში. იგი ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობას ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების აქტი (IDEA),[9] უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა მიიღონ უფასო შესაბამისი საჯარო განათლება, რომელიც ხაზს უსვამს სპეციალურ განათლებას და მასთან დაკავშირებულ სერვისებს. ამ კონტექსტში სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის საუკეთესო ინტერესები. დიდ ბრიტანეთში 1989 წლის ''კანონი ბავშვების შესახებ'' ითვალისწინებს ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ჩარჩოს. იგი ხაზს უსვამს ბავშვის კეთილდღეობის აუცილებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მათთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებაში ან მოქმედებაში.[10] შოტლანდიაში 1995 წლის ე.წ. ბავშვების აქტი ითვალისწინებს მითითებებს ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ინგლისის 1989 წლის ბავშვთა კანონის მსგავსად, ის ხაზს უსვამს ბავშვის კეთილდღეობას, როგორც უმთავრეს საკითხს.[11] ევროკავშირის ძირითადი უფლებათა ქარტიის 24-ე მუხლი აცხადებს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ ისეთი დაცვა და ზრუნვა, რაც აუცილებელია მათი კეთილდღეობისთვის. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი ყურადღება მათთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში.[12] ევროკავშირის დირექტივა 2011/93/EU[13] ეხება ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას და სექსუალურ ძალადობას. იგი ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებლობას სექსუალურ ძალადობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში. რაც შეეხება, ეროვნულ კანონმდებლობას ბავშვთა უფლებების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 1994 წელს, რომლის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015) და ბავშვთა უფლებების კოდექსი (2019). ორივე ნორმატიული აქტის მიზანი იყო საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ბავშვის ღირსების, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების დაცვა.[14] „ბავშვის უფლებათა კოდექსი" მიზნად ისახავს ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების ვალდებულება, პირველყოვლისა აქვს სახელმწიფოს. იგულისხმება, როგორც საკანონმდებლო, ასევე, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.[15] „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი[16] განსაკუთრებულ მოთხოვნებს განუსაზღვრავს სახელმწიფოს,

8 Child Abuse Prevention and Treatment Act. ხელმისაწვდომია აქ: https://www.acf.hhs.gov/sites/default/files/documents/cb/capta.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

9 What is the Individuals with Disabilities Education Act (IDEA). ხელმისაწვდომია აქ: https://www.parentcenterhub.org/idea/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

10 Children act 1989. ხელმისაწვდომია აქ: https://www.legislation.gov.uk/ukpga/1989/41/contents (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

11 The Children (Scotland) Act 1995. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gov.scot/binaries/content/documents/govscot/publications/advice-and-guidance/2004/10/scotlands-children-children-scotland-act-1995-regulations-guidance-volume-1-support-protection-children-families/documents/0023700-pdf/0023700-pdf/govscot%3Adocument/0023700.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2027)

12 EU Charter of Rights. ხელმისაწვდომია აქ: https://commission.europa.eu/aid-development-cooperation-+96fundamental-rights/your-rights-eu/eu-charter-fundamental-rights_en (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

13 Directive 2011/93 - Combating the sexual abuse and sexual exploitation of children and child pornography. ხელმისაწვდომია აქ: https://www.eumonitor.eu/9353000/1/j4nvk6yhcbpeywk_j9vvik7m1c3gyxp/vjs5ga5k7lyc (უკანასკნელად გადამოწმდა:06.10.2023).

14 Japharidze M., THE BEST INTERESTS OF THE CHILD IN THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURTS: EXPERIENCE FOR EU MEMBER STATES AND CANDIDATE COUNTRIES." International Comparative Jurisprudence; Jun2023, Vol. 9 Issue 1, p24-38.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 01 მარტის განჩინება №ას-1558-2022

16 ბავშვთა უფლებათა კოდექსი, 2019. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4 (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

რომელიც წარმოადგენს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 პუნქტის გამოძახილს. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას იმგვარი სისტემა, სადაც ყველა ის ორგანო, ფიზიკური და იურიდიული პირი, ვისაც შემხებლობა აქვს ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან, უზრუნველყოფდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებას. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იხელმძღვანელოს მულტიდისციპლინური მიდგომითა და სპეციალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით.[17] თუ არ არსებობს გამართული კოორდინაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც, სხვადასხვა რგოლები ერთიანი სტრატეგიით მუშაობენ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაზე სხვადასხვა კუთხით, ბავშვის საუკეთესო ინტერსები ვერ იქნება გათვალისწინებული.[18]

ბავშვთა უფლებათა კომიტეტის განმარტავს,[19] რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია: „ **მატერიალური უფლება:** ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი, სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრდეს სასამართლოში. **ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი:** თუ ეროვნულ კანონში სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში. **საპროცესო ნორმა:** ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. უფრო მეტიც, ბავშვთან, ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებსა და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ მიუთითებს სახელმწიფოს შემდეგ ვალდებულებებზე: 1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფა; 2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას: ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა; ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება; გ) გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს. სასამართლოებმა ბავშთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად.[20] ადამიანის უფლებათა სასამართლო, განმარტავს,რომ საუკეთესო ინტერესების შეფასება კონკრეტული ბავშვისთვის ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს.[21] ბავშვის შესახებ მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის პროცედურები უნდა არსებობდეს იმის დასადგენად არსებული ვარიანტებიდან რომელია კონკრეტული ბავშვისთვის საუკეთესო.[22] თუმცა ერთიანი სტანდარტის არსებობის გარეშე კონკრეტული მიდგომების განვითარება რთულია. „მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აღნიშნული ცნების პირდაპირი სამართლებრივი დეფინიცია, საერთაშორისო ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ იგი მოიცავს ბავშვის კეთილდღეობას, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ინდივიდუალურ ფაქტორზე, როგორებიცაა: ასაკი, ბავშვის მოწიფულობის დონე, მშობლების არსებობა, გარემო და მისი გამოცდილების მრავალფეროვნება. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მან მრავალჯერ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია არ უნდა იქნეს განხილული ვაკუუმში, იგი ცოცხალი ინსტრუმენტია და შესაბამისად, მისი განმარტება უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართალში მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ქვეყნების შიდა კანონმდებლობის საფუძველზე”[23]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეი-

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 01 მარტის განჩინება №ას-1558-2022

18 კილაძე ს., ტურავა პ., ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი, თბილისი, 2021, გვერდი 65.

19 ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ“, პარა. 6.

20 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ.19

21 Mol C., Kruger T., International child abduction and the best interests of the child: an analysis of judicial reasoning in two jurisdictions, journal of Private International Law; Dec2018, Vol. 14 Issue 3, p421-454.

22 UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, 2008/05/21.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №ას-159-2023

ძლება ითქვას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა მოიცავს სხვადასხვა ფაქტორების შეფასებას, მათ შორის: ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა; უსაფრთხოება-ბავშვის დაცვა ნებისმიერი ფორმის შეურაცხყოფისგან, უგულებელყოფისგან ან ზიანისგან, იქნება ეს ფიზიკური, ემოციური თუ ფსიქოლოგიური; სტაბილურობა და უწყვეტობა-სტაბილური გარემოს შენარჩუნება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თანმიმდევრულ რუტინებს, სტაბილურ საცხოვრებელს და უწყვეტობას ურთიერთობებში, როგორიცაა კონტაქტის შენარჩუნება მშობლებთან, და-ძმებთან ან ოჯახის სხვა წევრებთანლ განათლება-ბავშვისთვის ხარისხიანი განათლებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს მის განვითარებას და სამომავლო პერსპექტივებს. ჯანდაცვა-აუცილებელი სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ბავშვის საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა; ემოციური და განვითარების საჭიროებები- ბავშვის ემოციური და განვითარების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბავშვის ასაკი, ემოციური კავშირები მშობლებთან და აღმზრდელებთან და მათ საცხოვრებელ სიტუაციაში ცვლილებების პოტენციური ზემოქმედება. ბავშვის სურვილები-ბავშვის აზრის გათვალისწინება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის იზრდება და მათი უპირატესობების გამოხატვის უნარი იზრდება. ბავშვის სურვილებზე მინიჭებული წონა ხშირად დამოკიდებულია მათ ასაკზე და სიმწიფის დონეზე. კულტურული, რელიგიური და სოციალური მოსაზრებები- ბავშვის კულტურული, რელიგიური და სოციალური წარმოშობის, მათ შორის მათი მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატივისცემა, გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს მათ აღზრდაზე.

2. არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა

არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის რეალიზების კუთხით. ბავშვები, როგორც საზოგადოების დაუცველი წევრები, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და დაცვას მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ოცდამეერთე საუკუნეში, მიუხედავად ბავშვების, როგორც დამოუკიდებელ აქტორებად და უფლებების მატარებელ სუბიექტებად აღიარებისა, პრობლემურია საკითხი, რამდენად აქვთ ბავშვებს ასაკისა და განვითარების გათალისწინებით, შესაძლებლობა ავტონომიურად იმოქმედონ თავიანთი უფლებების დაცვისა და შეზღუდვის ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით. ცხადია, ამ მხრივ, არასრულწლოვანთა წარმომადგენლების, როგორც ბავშვებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გამტარების აუცილებლობა უდავო რეალობაა.[24] სწორედ, ამიტომ წარმომადგენლის მეშვეობით ბავშვის უფლებების დაცვა და რეალიზება, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[25] ბავშვის მონაწილეობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პატივისცემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. თუმცა ამის მიუხედავად, რჩება კითხვა: როგორ უნდა მიიღონ ბავშვებმა მონაწილეობა სამართალწარმოებაში? კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობის უფლების აღსრულება მისი მოსმენით და მისი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით, რაც გარანტირებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ბავშვს შეეძლოს აირჩიოს, თუ როგორ უნდა მოისმინონ ის, პირდაპირ თუ წარმომადგენლის მეშვეობით. ბავშვთა სამართალი ძირითადად ეფუძნება არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად სათანადო პირის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების პრინციპს,[26] რაც განიხილება არასრულწლოვნის მონაწილეობის

24 Tchermalykh N., Representing the Child Before the Court, The Politics of Children's Rights and Representation, 2023, pp 105–128. ხელმისაწვდომია აქ: https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-04480-9_5 (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

25 იქვე.

26 Friðriksdóttir H., Relational Representation: The Empowerment of Children in Justice Systems, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 56. მითითებულია: შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 183. მიხედვით. ხელმისაწვდომია აქ: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Khatia_Shekiladze.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა:06.10.2023).

არაპირდაპირ ფორმად.[27] ბავშვთა უფლებათა კომიტეტის კომენტარი მე-12 მუხლთან დაკავშირებით შეიცავს დამატებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს „წარმომადგენელი". კომიტეტი აღნიშნავს, რომ წარმომადგენელი შეიძლება იყოს სხვადასხვა პირი: მშობლები, ადვოკატები ან სხვა პირები,[28] რომლებსაც ემოციური და სოციალური კავშირი აქვთ არასრულწლოვანთან, შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესში მათ მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია არასრულწლოვნისათვის ემოციური და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის თვალსაზრისით,[29] აქვე გასათვალისწინებელია ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც საოჯახო სამართალწარმოებისას ხშირად არსებობს ბავშვსა და მშობლებს შორის, ან ორ მშობელს შორის, რომლებიც ერთობლივად უნდა წარმოადგენდნენ ბავშვის ინტერესებს, ასეთ სიტუაციებში საჭიროა კანონიერი ან სხვა არასახელმწიფო წარმომადგენლის ჩართვა. ნებისმიერ შემთხვევაში, წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვის შეხედულებები „სწორად გადაეცეს გადაწყვეტილების მიმღებს" (პარაზ. 36) და, შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს ექსკლუზიურად ბავშვის ინტერესებს და არა სხვა პირების ინტერესებს.[30] წარმომადგენლობა გულისხმობს წარმოდგენილი პირის წარმომადგენლით ჩანაცვლებას იურიდიული ქმედების განხორციელების პროცესში.[31] ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სასამართლო პროცესის დროს ბავშვის პერსპექტივის გათვალისწინების უზრუნველსაყოფად. ისინი ეხმარებიან მოსამართლეებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.[32] მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას პროცესში.[33] არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.[34] აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, წარმომადგენელი შესაძლოა იყვნენ მშობლები, მზრუნველები და სხვა საპროცესო წარმომადგენლები. მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს ენიშნება საპროცესო წარმომადგენელი ან მზრუნველობისა და მეურვეობის შესაბამისი მუშაკი ერთვება პროცესში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ევროპის საბჭოს მითითებები, რომელიც განმარტავს, ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალი უნდა მომზადდეს ინტერდისციპლინურად ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკობრივი საჭი-

27 Van Hooijdonk E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 43. მითითებულია: შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 183. მიხედვით. ხელმისაწვდომია აქ: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Khatia_Shekiladze.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა:06.10.2023).

28 General comment on Article 12, par 36. ხელმისაწვდომია აქ: https://digitallibrary.un.org/record/779679 (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

29 General comment, No 10, "Children's Rights in Juvenile Justice", Committee on the Rights of the Child, CRC/C/GC/10, 25 April, 2007, Para. 53; United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 15 (Commentary); Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 41, Commentary 96. მითიებულია: მითითებულია: შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 183. მიხედვით. ხელმისაწვდომია აქ: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Khatia_Shekiladze.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა:06.10.2023).

30 Mol Ch., Children's Representation in Family Law Proceedings, The International Journal of Children's Rights, 2019. ხელმისაწვდომია აქ: https://brill.com/view/journals/chil/27/1/article-p66_66.xml?language=en (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

31 Фадеева Т.А., Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 63, მითითებულია: ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთოებები, თბილისი,2015, 50. ხელმისაწვდომია აქ: https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

32 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (81.3)

33 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (81.5)

34 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (81 პრიმა)

როებების და ბავშვზე მორგებული პროცესის შესახებ. მათი გადამზადება უნდა მოხდეს აგრეთვე ნებისმიერი ასაკის და განვითარების ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე, განსაკუთრებით, მოწყვლად სიტუაციაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით.[35] მულტიდისციპლინური მიდგომის განსახორციელებლად უნდა შემუშავდეს ერთიანი შეფასების ჩარჩო სხვადასხვა პროფესიონალების მონაწილეობით (როგორიცაა, იურისტები, ფსიქოლოგები, ექიმები, სოციალური მუშაკები და მედიატორები, პოლიცია და მიგრაციის სამსახური საჭიროებისამებრ), რომელიც უზრუნველყოფს მათ ერთობლივ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.[36] სწორედ ამიტომ, არასრულწლოვანთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი პროფესიული მუშაკები, ვალდებულნი არიან მულტიდისციპლინური მიდგომა გამოიყენონ ბავშვთა უფლებების დაცვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩანაწერი არ გვხვდება კანონმდებლობაში, ამ მხრივ გასაზიარებელია, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემოთავაზებული მოსაზრება საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავებასთან დაკავშირებით, რათა საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით (როგორც მატერიალური, ასევე, საპროცესო) სავალდებულო გახდეს ბავშვთან დაკავშირებით საქმეთა განხილვის მულტიდისციპლინური წესი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე, სასამართლოს მიერ.[37]

არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა შესაძლებელია აგრეთვე განხორციელდეს ადვოკატის მეშვეობით. ბავშვები უფლებამოსილნი არიან სარგებლოდნენ უფასო იურიდიული დახმარებით, რასაც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური, შესაბამისად, ხელმისაწვდომია კონსულტაცია და დახმარება ყველა არასრულწლოვნისთვის. [38] თუმცა იურიდიული დახმარების შესახებ კანონი არ განსაზღვრავს ბავშვის დახმარებაზე წვდომის ადაპტირებულ მიდგომებს, მაგალითად, სატელეფონო ან დისტანციური კონსულტაცია, სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, იურიდიული დახარების შესახებ კანონი, იურიდიული კონსულტაციას არაუმეტეს ერთი საათის ხანგრძლივობით განსაზღვრავს, რაც ცხადია არასრულწლოვანთან მიმართებით არაგონივრულია, მით უფრო, მაშინ, როდესაც მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენება არის აუცილებელი, ამ მხრივ მნიშნელოვანია, კანონმა არ დააწესოს იურიდიული კონსულტაციის ხანგრძლივობის ჩარჩო არასრულწლოვნებთან მიმართებით.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნის მიდგომას არასრულწლოვანთა ადვოკატირებასთან დაკავშირებით, მაგალითად, საფრანგეთში არსებობს, ახალგაზრდათა სახლები, რომლებიც ბავშვებს აწვდიან სამართლებრივ ინფორმაციას თავიანთ უფლებებზე, აგრეთვე, საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა ბავშვთა საკითხების ჯგუფი, რომელიც ბავშვებს აწვდის უფასო და კონფიდენციალურ სამართლებრივ კონსულტაციას ტელეფონით და პირადად.[39] აღნიშნულიდან გამომდინარე, მართლმსაკულების ხელმისაწვდომობაც და არასრულწლოვანთა უფასო კონსულტირება მაქსიმალურად უზრუნველყოფილია. არასრულწლოვანთა ადვოკატირების მხრივ გასათვალისწინებელია ამრიკული გამოცდილებაც, მაგალითად, ვაშინგტონის შტატში არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი დახმარების ოფისი (OCLA), აგრეთვე, ბავშვთა წარმომადგენლობის პროგრამა (CRP), რომელიც მუშაობს კერძო ადვოკატებთან და საჯაროდ დაფინანსებულ სააგენტოებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტანდარტებზე დაფუძნებული წარმომადგენლობა ბავშვებისთვის. ადვოკატები იღებენ ვალდებულებას მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, შეინარჩუნონ საქმეების რაოდენობა კანონმდებლობით აღიარებული ლიმიტების ფარგლებში და ეფექტურად წარმოადგინონ ამ ბავშვების კანონიერი ინტერესები სამართალწარმოებაში.[40] OCLA უზრუნველყოფს ტრენინგებს ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს ბავშვთა ინტერვიუს ტექნიკას, შშმ და განსხვავებული სქესობრივი ორიენტაციის მქონე ახალგაზრდების წარმომადგენლობის სხვადასხვა ასპექტებს. ვაშინგტონის შტატში შეიქმნა ბავშვთა წარმომადგენლობითი ბიურო, სადაც ადვოკატები რეგულარულად უსვამენ კითხვებს ერთმანეთს და უზიარებენ ინფორმაციას მოქმედ კანონსა და საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს არას-

35 ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017. ხელმისაწვდომია აქ: https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf (უკანასკნელად გადამოწმება: 06.10.2023).

36 იქვე;

37 ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, 48. ხელმისაწვდომია აქ: https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf (უკანასკნელად გადამოწმება: 06.10.2023).

38 საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ მე-41, სსმ, 24, 02/07/2007.

39 „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“, 2015

40 Office of Civil Legal Aid – Children's Representation Program, ხელმისაწვდომია აქ: https://www.wacita.org/childrens-representation-program-office-of-civil-legal-aid/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

რულწლოვნებზე.[41] ადვოკატი მნიშნელოვან როლს არსრულებს არასრულწლოვნის სამართლებრივი პრობლემების გამკლავების პროცესში, სწორედ, ამიტომ, ბავშვთა კეთილდღეობაზე დაფუძნებული მიდგომის გაზიარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კერძო და სახელმწიფო დონეზე. ადვოკატებმა, როგორც არასრულწლოვანის წარმომადგენლებმა მულტიდისციპლინური მიდგომით უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების რეალიზება.[42] განსაკუთრებით ყურადღებას და სიფრთხილეს საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადვოკატირება. შოტლანდიაში არსებობს სპეციალური გაიდლაინი ადოკატებისათის, როგორც არასრულწლოვანთა წარმომადგენლებისათვის, რომელიც შშმ ბავშვებთან მიმართებით განსაზღვრავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს შეიძლება დასჭირდეთ მხარდაჭერა სერვისების ფართო სპექტრზე ხელმისაწვდომობის საკითხების დასადგენად, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატებს ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია შეაფასონ და განსაზღვრონ ბავშის საჭროებები და სხვადასხვა სპეციალისტის ჩართვის აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი სურვილებისა და ინტერესების სწორ და სამართლიან ინტერპრეტაციას.[43]

აღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა დაცვა მათი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტის მინიჭების კუთხით მულტიდისციპლინური მიდგომის საჭიროებას უსვას ხაზს. სპეციალისტები, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებში უნდა ფლობდნენ საჭირო კომპეტენციას არასრულწლოვანის უფლებების, განვითარებისა და საჭიროებების კუთხით. აუცილებელია, არასრულწლოვანს კანონმდებლობის შესაბამისად, ჰქონდეს უფლება ნებისმიერ დროს და საჭირო ხანგრძლივობით ისარგებლოს უფასო იურიდიული კონსულტაციითა და დახმარებით.

დასკვნა

არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ წარმომადგენლები იმოქმედებენ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების ფარგლებში გათალისწინებული სხვადასხვა ასპექტით, უზრუნველყოფენ ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, გაითვალისწინებენ ბავშვის ემოციური და განვითარების საჭიროებებს, მათ შორის ისეთი ფაქტორებს, როგორიცაა ბავშვის ასაკი, ემოციური კავშირები მშობლებთან და აღმზრდელებთან, მათი საცხოვრებელ სიტუაციაში ცვლილებების პოტენციური ზემოქმედება, და რაც მთავარია ბავშვის სურვილი და მოსაზრება.

აუცილებელია არასრულწლოვნებს ჰქონდეთ შეუზღუდავი წვდომა იურიდიულ დახმარებასთან და აღნიშნული იყოს მათთვის უფასო მიუხედავად გადახდისუნარიანობისა. სასურველი იქნება შეიქმნას ერთიანი, სისტემური გაიდლაინი, რომლიც იქნება გზამკვლევი ადვოკატებისათვის არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის დროს, რომელიც აგრეთვე, გაითვალისწინებს ჰოლისტიკური მიდგომების აუცილებლობას, საჭირო ტრენინგების მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მულტიდისციპლინურ მიდგომასა და შესაბამისად სტანარტებს. შესაბამისად, აშკარაა მუდმივი კვლევის, პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების აუცილებლობა, რათა გათვალისწინებულ იქნას ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრების - ბავშვთა საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
2. ბავშვთა უფლებათა კოდექსი, 2019. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4
3. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 01 მარტის განჩინება №ას-1558-2022
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №ას-159-2023
6. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, 48. ხელმისაწვდომია აქ: https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf
7. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ“, პარა. 6.
8. „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“, 2015.
9. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ.19
10. კილაძე ს., ტურავა პ., ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი, თბილისი, 2021, გვერდი 65

41 Office of Civil Legal Aid – Children's Representation Program, ხელმისაწვდომია აქ: https://www.wacita.org/childrens-representation-program-office-of-civil-legal-aid/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

42 Lorentz D., Reforming Legal Representation for Minors: The Attorney Ad Litem Firm, Review of Litigation; Winter2011, Vol. 30 Issue 2, p379-413.

43 Children's advocacy guidance, Scottish government, 2014. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gov.scot/publications/childrens-advocacy-guidance/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 06.10.2023).

11. შეყილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 183. ხელმისაწვდომია აქ: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Khatia_Shekiladze.pdf

12. ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთოებები, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017. ხელმისაწვდომია აქ: https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf

13. Hague convention 1902. ხელმისაწვდომია აქ: https://www.hcch.net/en/instruments/conventions

14. Geneva Declaration of the Rights of the Child, 1924. ხელმისაწვდომია აქ: https://www.humanium.org/en/geneva-declaration/

15. UN DECLARATION ON THE RIGHTS OF THE CHILD (1959). ხელმისაწვდომია აქ: https://archive.crin.org/en/library/legal-database/un-declaration-rights-child-1959.html

16. Convention on the Rights of the Child, 1989. ხელმისაწვდომია აქ: https://www.coe.int/en/web/compass/convention-on-the-rights-of-the-child

17. Child Abuse Prevention and Treatment Act. ხელმისაწვდომია აქ: https://www.acf.hhs.gov/sites/default/files/documents/cb/capta.pdf

18. Children act 1989. ხელმისაწვდომია აქ: https://www.legislation.gov.uk/ukpga/1989/41/contents

19. The Children (Scotland) Act 1995. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gov.scot/binaries/content/documents/govscot/publications/advice-and-guidance/2004/10/scotlands-children-children-scotland-act-1995-regulations-guidance-volume-1-support-protection-children-families/documents/0023700-pdf/0023700-pdf/govscot%3Adocument/0023700.pdf

20. EU Charter of Rights. ხელმისაწვდომია აქ: https://commission.europa.eu/aid-development-cooperation-+96fundamental-rights/your-rights-eu/eu-charter-fundamental-rights_en

21. Directive 2011/93 - Combating the sexual abuse and sexual exploitation of children and child pornography. ხელმისაწვდომია აქ: https://www.eumonitor.eu/9353000/1/j4nvk6yhcbpeywk_j9vvik7m1c3gyxp/vjs5ga5k7lyc

22. What is the Individuals with Disabilities Education Act (IDEA). ხელმისაწვდომია აქ: https://www.parentcenterhub.org/idea/

23. Chatenoud M., The Child's Best Interest: Article 3 of the Convention on the Rights of the Child, 2022. ხელმისაწვდომია აქ: https://www.humanium.org/en/the-childs-best-interest/

24. Krutzinna J., Who is "The Child"? Best Interests and Individuality of Children in Discretionary Decision-Making, The International Journal of Children's Rights, 2022. ხელმისაწვდომია აქ: https://brill.com/view/journals/chil/30/1/article-p120_7.xml?language=en

25. Freeman C., What Is The 'Best Interests Of A Child' Principle?, 2022.ხელმისაწვდომია აქ: https://www.fjsolicitors.co.uk/best-interest-of-the-child/

26. Japharidze M., THE BEST INTERESTS OF THE CHILD IN THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURTS: EXPERIENCE FOR EU MEMBER STATES AND CANDIDATE COUNTRIES.'' International Comparative Jurisprudence; Jun2023, Vol. 9 Issue 1, p24-38

27. Mol C., Kruger T., International child abduction and the best interests of the child: an analysis of judicial reasoning in two jurisdictions, journal of Private International Law; Dec2018, Vol. 14 Issue 3, p421-454.

28. UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, 2008/05/21.

29. Tchermalykh N., Representing the Child Before the Court, The Politics of Children's Rights and Representation, 2023, pp 105–128. ხელმისაწვდომია აქ: https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-04480-9_5

30. Friðriksdóttir H., Relational Representation: The Empowerment of Children in Justice Systems, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 56.

31. Van Hooijdonk E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 43.

32. General comment on Article 12, par 36. ხელმისაწვდომია აქ: https://digitallibrary.un.org/record/779679

33. Mol Ch., Children's Representation in Family Law Proceedings, The International Journal of Children's Rights, 2019. ხელმისაწვდომია აქ: https://brill.com/view/journals/chil/27/1/article-p66_66.xml?language=en

34. Фадеева Т.А., Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 63,

35. Office of Civil Legal Aid – Children's Representation Program, ხელმისაწვდომია აქ: https://www.wacita.org/childrens-representation-program-office-of-civil-legal-aid/

36. Lorentz D., Reforming Legal Representation for Minors: The Attorney Ad Litem Firm, Review of Litigation; Winter2011, Vol. 30 Issue 2, p379-413.

37. Children's advocacy guidance, Scottish government, 2014. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gov.scot/publications/childrens-advocacy-guidance/